სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

33401310703823

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230045837

რეგისტრაციის თარიღი

16.01.2023 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ოდილავაძე
მისამართი: თბილის ჟ. შარტავას ქ 14ა
ტელეფონი: 599514451

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდასამი წლის ათ იანვარს მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ.№14 ა-ში მომმართა, **შპს „ორთაჭალა გეითი“-ს (ს/ნ 405536978) დირექტორმა იმედა მუმლაძემ** .მან განაცხადა, რომ სურს **მინდობილობის** შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთის საშუალებით და დავრწმუნდი რომ, მე ნამდვილად: **შპს „ორთაჭალა გეითი“-ს (ს/ნ 405536978) დირექტორმა იმედა მუმლაძემ (დაბ.22.05.1988წ პ/ნ 47001015116)** მომმართა. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია, შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები: საკუთრების მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან პირადადა წაიკითხა ეს მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

მე, **შპს „ორთაჭალა გეითი“-ს (ს/ნ 405536978) დირექტორმა იმედა მუმლაძემ (დაბ.22.05.1988წ პ/ნ 47001015116)** „შემდგომში-მარწმუნებელი“ **ზაზა ბასილაძეს (დაბ.11.11.1982წ. პ/ნ 41001006464)** „შემდგომში-რწმუნებული“ მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

„რწმუნებული“ უფლებამოსილია, იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო, საზოგადოებრივ, კომერციულ, ადმინისტრაციულ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მესამე პირებთან (ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან) ურთიერთობაში, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, მათ შორის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მუნიციპალურ ინსპექციაში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, უძრავი ქონების რეგისტრაციის მიზნით (მათ შორის მოახდინოს შესწორების, ცვლილების რეგისტრაცია, ცვლილების რეგისტრაცია კოორდინატთა სისტემაში, განსაზღვროს უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი) კონფიგურაცია, გამოჯვნა/ გაყოფა/ გაერთიანება/ სერვიტუტით დატვირთვა). იყოს ჩემი წარმომადგენელი შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“, „თბილისიენერჯი-ში“, „თელასში“, „თელმიკოში“, „სილქნეტში“, „მაგთიკომში“, „ახალ ქსელებში“.ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება, თანხმობა, წარმოადგინოს ან/და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, დუბლიკატი, ცნობა, მოწმობა, ნებართვა, აზომვითი ნახაზი, პროექტი, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება წინამდებარე დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.

წინამდებარე მინდობილობა მარწმუნებელს წაუკითხა ნოტარიუსმა ქეთევან ოდილავაძემ, მარწმუნებელმა მოიწონა მინდობილობა და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური **30.00** ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების **31-ე, მუხლისა,** აგრეთვე გადახდილია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური **5 ლარი,** თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი _____

ნოტარიუსი _____ ქ. ოდილავაძე